

572  
1984

1984 ՊԵՏՈՒՅԱԿՈՒՆ ԴԻ-10





## ოქტომბერი

7— სსკ კონსტიტუციის დღე.  
29—კომკავშირის დაბადების დღე.

ოქტომბერში აგრეთვე აღინიშნება  
მასწავლებლის დღე—7-ში,  
სოფლის მეურნეობის მუშაკთა დღე  
14-ში.  
კვების მრეწველობის მუშაკთა დღე  
21-ში.  
საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკთა  
დღე 28-ში.

# ჩვენთვის

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია—ეს პატარა, წითელ-ყდრანი წიგნაკი—ჩვენი ქვეყნის ყველაზე მთავარი წიგნია. ეს არის წიგნი-კანონი, რომლის მიხედვითაც ადამიანები სახელმწიფოს მართავენ, ცხოვრობენ, აშენებენ, სწავლობენ, ისვენებენ. ყველა ადამიანს აქვს გარკვეული უფლებები; აქვს მოვალეობებიც სამშობლოს, ხალხის, ცალკეული ადამიანების, საკუთარი თავის წინაშე.

აი, ვთქვათ ასეთი რამ. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ რომელიმე თქვენმა თანატოლმა წერა-კითხვა არ იცოდეს? ალბათ გაგვიღივებთ კიდეც ამ შეკითხვაზე, არა? —ამას რა თქმა უნდა, რომ წერა-კითხვა ყველამ იცის, ყველა სწავლობს... ახლა კი ისიც დაიხსომეთ, რომ სწავლის უფლება ჩვენში ყველას კონსტიტუციით აქვს მინიჭებული.

ის თუ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ მამათქვენი არ მუშაობდეს—ან კოლმეურნეობაში, ან ქარხანაში, ან რაიმე სახელმწიფო დაწესებულებაში?! ესეც უცნაური შეკითხვაა, არა? ვის გაუგონია, კაცი არ მუშაობდეს, თუ ან ავადმყოფი არ არის, ან მოხუცებული?

ჰოდა, ესეც იცოდეთ, რომ შრომის უფლებასაც კონსტიტუცია ანიჭებს ჩვენს ადამიანებს...

ჩვენში შრომა თავისუფალია და არა დაქირავებული. ყველას შეუძლია თავისი საყვარელი საქმე ამოირჩიოს და იმას მისდიოს. კაპიტალისტურ ქვეყნებში კი ვინ მოთვლის, რამდენ ადამიანს არ შეუძლია თავისი ნიჭისა და უნარის სწორად გამოყენება; ვინ მოთვლის, რამდენი საერთოდ უმუშევარია.

კიდეც საბჭოთა ადამიანს აქვს დასვენების,

ბინის, უფასო სამკურნალო დახმარების მი-  
ღების, სახელმწიფოს მართვაში მონაწილეო-  
ბის უფლება...

ჩვენს ქვეყანა სხვადასხვა ეროვნების ხალხ-  
თა მშური კავშირია, და მათ, განურჩევლივ  
ყველას, ერთნაირ უფლებებსა და მოვალეო-  
ბებს უღვენს სსრკ კონსტიტუცია. ამასთან  
სიცი უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის  
ყველა მოკავშირე რესპუბლიკას თავისი სა-  
კუთარი კონსტიტუცია აქვს, რომლებშიც  
ადამიანთა კიდევ სხვა უფლება-მოვალეობე-  
ბია გათვალისწინებული. მაგალითად, საქარ-  
თველოს კონსტიტუციით ჩვენს რესპუბლი-

კავში სახელმწიფო ენაა ქართული, ჩვენ, ქარ-  
თველებს, მონიჭებული გვაქვს დედანაზვ  
სწავლის უფლება.

სსრკ კონსტიტუციით ყველა საბჭოთა ადა-  
მიანის უწმინდესი ვალია დაიცვას სამშობ-  
ლო, მოუაროს მის ბუნებას, მისი კულტუ-  
რის ძეგლებს, ამრავლოს მისი დოვლათი და  
კეთილდღეობა. ეს საქირთა დღევანდელი  
დღის და მომავლისათვის. ასე იყო წინათაც.  
რამდენი გაჯირვების გადალახვა, რამდენი  
სიმძნელის დაძლევა მოუხდა ოქტომბრის რე-  
ვოლუციის შემდეგ ჩვენს ხალხს! და ამ სიმ-  
ძნელებთან ბრძოლაში ხალხს, პარტიას გვე-  
რდში ამოუღდა ახალგაზრდობა.



# ჯანსიღი ერთგული თანამოქმედი

1918 წლის 29 ოქტომბერს რუსეთის ახალგაზრ-  
დობის I-მა ყრილობამ გამოაცხადა ახალგაზრ-  
დობის კომუნისტური კავშირის შექმნა.

კომკავშირი ყველა დიად საქმეში გვერდში  
ეგვა პარტიას—გმირული ფურცლები ჩაწერა სა-  
მოქალაქო ომის და ახალშენებლობათა ისტო-  
რიაში, სამამული ომის თუ მშვიდობიანი შრო-  
მის, მეცნიერებისა თუ მხატვრული შემოქმედე-  
ბის ისტორიაში. დღესაც შრომისა და ბრძოლის  
წინა ხაზზეა საბჭოთა კომკავშირი, რომელსაც  
თავისი არსებობის მანძილზე მიღებული აქვს

სამშობლოს მრავალი ჯიღღა—წითელი დროშის  
ორგენი, შრომის წითელი დროშის ორგენი, სამი  
ღვინის ორგენი, ოქტომბრის რევოლუციის ორ-  
გენი...

60 წლის წინათ, 1924 წელს, როცა გარდაიც-  
ვალა ვლადიმერ ილიას ძე ღვინი, ღვინის საქ-  
მისათვის მებრძოლმა საბჭოთა ახალგაზრდებმა  
თავიანთ კავშირს ღვინის სახელი უწოდეს:  
ახალგაზრდობის ღვინური კომუნისტური კავ-  
შირი, ანდა შემოკლებით ადკკ ჰქვია დღეს პარ-  
ტიის უპირველეს და უერთგულეს თანამემწყეს...

# პიონერი პიონკულს ნიშნავს



იმავე წელიწადს, ღვინის გარდაცვალების  
წელს, ბეაღის უკვდავი სახელი აკიაფდა პიონე-  
რიის დროშაზეც. პიონერი, თქვენ იცით, პირ-  
ველდა ნიშნავს. და თავიდანვე პიონერები ცდი-  
ლობდნენ თავიანთ თანატოლებს შორის პირვე-  
ლებს აებათ მხარი უფროსების—კომკავშირეფ-  
ბისათვის. წარსულმა იცის გმირი პიონერების  
არაერთი სახელი: მაგარამ უბრალო, ყოფილდრიუ-

რი საქმეებითაც შეიძლება თავის გამოჩენა.  
ამისათვის საჭიროა ბავშვობიდანვე პირნათლად  
ასრულებდეს ადამიანი საბჭოთა კონსტიტუ-  
ციით დადგენილ მოვალეობებს. ბავშვების უპირ-  
ველესი ვალი კი არის მშობლებზე ზრუნვა და მათი  
დახმარება. ამაზეა დაპარაკი კონსტიტუციის  
ნინე მუხლში, ეს პირველი ნაბიჯი იქნება ცხოვრე-  
ბის, სწავლის, შრომის გზაზე—მომადვისაკენ...



### მომავლისაკენ


60 წელი უსრულდება ოქტომბრელთა პირველ ჯგუფებსაც. პირველ ოქტომბრელებად 1924 წლის 19 მაისს, პირველი პიონერული პარადის დროს

მიიღეს 1917 წელს—ოქტომბრის რევოლუციის წელს დაბადებული ბავშვები, რომლებსაც მაშინ 7 წელი უსრულდებოდათ.

აბა დახვედთ თქვენთვის ასე ნაცნობ ოქტომბრელთა სამკერდე ნიშანს, და მერე, წინა გვერდზე—პიონერულ და კომკავშირულ სამკერდე ნიშნებს. სამივეს ვლადიმერ ილიას ძე ღვინისის სურათი ამუშვენებს. ეს იმას ნიშნავს, რომ კომკავშირელებისა და პიონერების კვადრატად თქვენც ღვინისის საქმის გამგრძელებლებად ეგულებით სამშობლს, სჯერა, რომ თქვენც მზადა ხართ ღვინისის დროშის ქვეშ დასარაზმავად...

წითელი ვარსკვლავის ხუთი ქიმივით ოქტომბრელებიც ხუთ-ხუთნი ერთ ვარსკვლავად ხართ გაერთიანებული, და თქვენს წილ და თქვენს შესაფერის საქმეებს აკეთებთ, პირველ რიგში კარგად სწავლებთ.

ასე უნდოდა თქვენი სამშობლს დიდ ბედს—ღვინისს.



ხუბო ბარულავა

### ბიბო და პერსიკო

იავნანა, ვარდონანა,  
შენც მერცხლებზე დარდობ განა?  
რა ქნან, დროა გაფრენისა,—  
წინ ვის უდევს ამღვნი გზა!  
თავს გიკრავენ ვაისამდე:  
დილი ბიჭი გაიზარდე!  
იავნანა, ვარდონანა,  
იღულოუნე თამროსთანა...  
გაზაფხული რომ დადგება  
და კარს ია მოვადგება,  
კვლავ ამ ქვრქვეშ გარჩნდებათ,  
კვლავ ამ დრომდე დარჩებიან.  
იავნანა, ვარდონანა,  
ითამაშე თამროსთანა!

# წითელი კვარი



დოდო ვალაჟორია

გაბატარი თემურ ზნიკიძე

ღამე მოუსვენრად ეძინა ნიკას. ხან ვარსკვლავები ესიზმრებოდა, ხან დიდი, ბრდღვი-ალა მზე. ის ვარსკვლავები ციდან ცვიოდა, ნიკა პემვით იღებდა, ძმას, დედას და მეგობრებს თავზე აყრიდა.

მერე წამოვიდოდა მზე, სხივებს მკლავებზე თით მოხვევდა ნიკას და ღურჯ, მოკრიპილებულ ცაში აიტაცებდა; და როცა მამასავით მაღლა აისვრიდა, ბიჭი ლოგინში შეხტებოდა, გამოედვიძებოდა და ბალიშქვეშ ოქტომბრელის სამკერდე ნიშანს — წითელ ვარსკვლავს მოძებნიდა, მერე ისევ მიწებოდა და ხვალინდელ დღეზე იწყებდა ფიქრს.

გათენდა თუ არა, ჭყიტა თვალი და ლოგინიდან წამოვარდა. ნუგზარი უკვე ვარჯიშობდა, ძმას თვალი ჩაუკრა და უთხრა:

— ნიშნის ცალეზა არ დაგავიწყდეს სკოლაში.

— ერთი კვირა სკოლაში მიმაქვს და მომაქვს. — მშვიდად თქვა ნიკამ, — ვარსკვლავი ბალიშქვეშოდან გამოიღო და ჩანთაში გაულდაგულ შეინახა.

ის დღე განსაკუთრებით თბილი და წყნარი იყო. მიდიოდა ნიკა დედასთან ერთად და ეჩვენებოდა, რომ ყველა მისი ტოლი ოქტომბრელებში მისაღებად მიიჩქაროდა.

სკოლაც უფრო დაკრიპებული იყო, მასწავლებლებიც უფრო ლამაზები და ალერსიანები ჩანდნენ. ხელმძღვანელს დიდი თეთრი საყელო და წითელი ყელსახვევი განსაკუთრებით უხდებოდა, თვლებიც სხვანაირად უციმციმებდა. ნიკას წუხანდელი ვარსკვლავები მოაგონდა, მუჭში თავისი წითელი ვარსკვლავი მოსინჯა და უფრო მაგრად მოუჭირა თითები.

თითქმის ყველა ბავშვმა შეუცდომლად თქვა ლექსი. ხელმძღვანელი რიგრიგობით უმაგრებდა ბავშვებს მკერდზე ოქტომბრელის ნიშანს, მერე როგორც დიდებს, ხელს ართმევდა, ულოცავდა და კოცნიდა.

იმ დღიდან ნიკას კლასის ცხოვრება სულ შეიცვალა. ხელმძღვანელმა ოქტომბრელებს მაკულატურის შეგროვება დაავალა, კლასში მორიგეობა დაწესდა, ხათუნა და ნათია კი სანიტრებად აირჩიეს.

„წეტავი ამ პრანტიკუდებმა რა უნდა გააკეთონ? თითი რომ ვინმემ გაიჭრას, სისხლის დანახვაზე ვინ იცის, ატირდნენ კიდევ“, — გაიფიქრა ნიკამ და ჩაეცინა. არ მოეწონა თავის საქციელი, მაგრამ ჩაეცინა და!..

მეორე დღილით სკოლაში მისულმა ვერც ხათუნა დაინახა და ვერც ნათია. ალბათ კიკინების ვარცხნა-დანასა გადაყენენ და

დაგვიანდებათო, — გაიფიქრა, მაგრამ ნუ-  
რას უკაცრავად! კარი გაიღო და ხათუნამ  
და ნათია ნიკას სიხარში მობრწყვიალედ  
ვარსკვლავებით შემოანათეს. მხარზე პა-  
ნია, თეთრი ნაჭრის აბგები ეკიდათ. აბგებ-  
ზე კი წითელი ჯვრები იყო ამოქარგული.

ნიკამ სიმშვიდე დაკარგა. მასწავლებ-  
ლის ერთი სიტყვაც არ გაუგონია. სულ იმ  
წითელჯვრიან აბგებზე ფიქრობდა — ნე-  
ტავი რა აქვთ გოგოებს იმ აბგებშიო.

როგორც იქნა, დაირეკა ზარი. გავიდა  
თუ არა მასწავლებელი კლასიდან, ნიკა ად-  
გილს მოწყდა და სანიტარ გოგონებს მი-  
ეჭრა.

— რა გაქვთ ამაში? — ხელი ფრთხილად  
წაიღო ხათუნას აბგისაკენ.

— იოდი, ბინტი, ბამბა, სტრეპტოცი-  
დი, — ამყავდ თქვა ხათუნამ და ნიკას აბგა  
აარიდა.

— რად გინდათ? — გუნებაში ისევ გა-  
ცივდა ნიკას, მაგრამ თავი შეიკავა.

— რად გვიწინა? — თითქოს დაბინა გო-  
გონა, — ვინმე რომ დაეცეს ან ხელი გაიჭ-  
რას, ჩვენ პირველ დახმარებას აღმოვუჩენთ.

— არ შეგეშინდებათ?! — ეჭვით დაეკი-  
თხა ნიკა.

ამასობაში თურმე მთელი კლასი გარს  
შემორტყმოდათ და უსმენდნენ. ბიჭებმა სი-  
ცილი დააყარეს გოგონებს, ზოგმა აბგაზე  
უტაცა ხელი, ზოგი შიგაც ჩაუჭრა. კიდევ  
კარგი, ზარი დაირეკა, თორემ ცუდად დამ-  
თავრდებოდა საქმე.

სწორედ მეორე დღეს სულ ხუთი წუთით  
გვიან გაეღვიძათ ნიკას, დედას და ნუგზარს.  
სკოლაში რომ არ დაგვიანებოდათ, ნიკამ  
და დედამისმა სირბილით ჩაიარეს დაღმარ-  
თი. ერთიც ვნახოთ, დედას ფეხი დაუცდა და  
წაიქცა. ქვანახილზე მუხლი დაარტყა და  
სულ გადაყვლილა. ეტყობოდა, ძალიან ეტ-  
კინა, ისე რომ ერთ წუთს იქვე აგურით ნა-  
შენებ დაბალ კედელზე ჩამოჯდა. ნიკა იმას-  
ლა ახერხებდა, რომ დედას ქრილობას სულს  
უბერავდა.

უცებ სად იყო და სად არა, თითქოს იმ  
ვარსკვლავებით ციდან ჩამოვარდაო, მათ  
გვერდით ერთი პატარა გოგონა გაჩნდა,  
ხათუნასა და ნათიასავით თეთრი, წითელ-  
ჯვრიანი აბგა ეკიდა მხარზე.

გოგონამ სწრაფად, უხმოდ ამოალაგა  
აბგიდან რაღაც ნამლები.

— ცოტა აგუნებთო, დეიდა, მოითმი-  
ნეთ, — უთხრა ნიკას დედას, პანია შუში-  
დან ბამბაზე თეთრი სითხე დაასხა, სისხლში  
არეული მტვერი მობანა, მერე იოდი წაუს-  
ვა, ზემოდან ბინტი დააფარა და ლეიკო-  
პლასტირით ჯვარედინად გადაუწყნა.

დედამ შვევით ამოისუნთქა და ნიკამ  
იგრძნო, სისხარულისაგან როგორ მოებჯინა  
ცრემლები, მაგრამ კაცი რის კაცია, თუ არ  
მოითმინა. ნიკამ ცრემლები გადაყლაპა და  
სანიტარ გოგონას მაღლობა უთხრა. მერე  
დედა გადაკოცნა და თავქუდმოგლეჯილმა  
სკოლისაკენ მოკურცხლა.

გარბოდა ნიკა და ფიქრობდა, „ბაბა, ერთი  
ვინმემ კიდევ გაუბედოს და რამე აწყენისო  
ჩვენს სანიტრებსო!“



მასხალა გონაზვილი

# ინილო-პინილო

როცა დიდი გაიზრდები,  
 იწილო და ბიწილო,  
 სიკეთის და მშობის ქუდი  
 არსად არ მოიცილო.  
 აღზოს, მალზოს, კინდა ნახს  
 ცხრა მდინარე, ცხრა წყარო,  
 შენი მიწის ერთი ბელტიც  
 არაფერზე განცვალო.  
 შენი ფეხვი, ფეხმანდუკი  
 ატეაფა მტერმა თუკი,  
 დაიფიცე მაშინ ეს კვლე  
 მამულისთვის დადე ფეხზე.



## ნანუ, ნანუ პანია

ჩემო დიდო იმედო,  
 აი, უმეე შინა ხარ,  
 აკვანშიაც ძლივს ჩანხარ,  
 ისე ზაწაწინა ხარ.  
 შენი ბინა ხომ მოგწონს?  
 შემოგვევლოს მშობელი,  
 „მზე შინა და მზე გარეთ“—  
 ისმის სვავლობელი.  
 მზე და მთვარე შენს აკვანს  
 ახტია თილისმად,  
 შენს ბუმბულა ლოგინსაც  
 სურნელი აქვს იისა.  
 ფიტოს მწვანეთვალეებს  
 და ბომბორა მურიას,  
 ვუვლას—დიდს თუ ზატარას  
 შენი ნახვა სწეურია.  
 დედოფალაც წამწამებს  
 აფანულებს ღამასად,  
 დატრილდა ბზრიად,  
 ცემპვუს ვახდაგანასა.  
 და რეზინის ეურშამაც  
 ცალი ეური ახწია,  
 უმეე მილის დრო არის,  
 ნანა, ნანა, ზაწია.



როზმარი კიფერი ლუქსემბურგელი მწერალი, მცენიერი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწეა. იგი ქართული ხალხის მეგობარია, თარგმნის ჩვენი პოეტების ლექსებს, წერს სტატიებს ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. „დილის“ მკითხველებს ვთავაზობთ მის ერთ-ერთ ზღაპარს.

როზმარი კიფერი

# პუკინაპი გოჭი

ერთ ფერმაში დედა ღორი ცხოვრობდა. ბევრი შვილი ჰყავდა, მაგრამ არც ერთი არ შეარჩინეს. გამწარებულს სიცოცხლე მობეზრდა, მაგრამ დღერთს შეებრაღა და გადამწყვიტა გაემხნევიბინა. მალე დედა ღორმა თორმეტი გოჭი დაყარა, ერთი მათგანი ფრთიანი აღმოჩნდა, ჰაერში აფრინდა და იქიდან გადმოხედა თავისიანებს. დედა ღო-



რი მიხვდა, რომ მოხდა სასწაული, რომ მას შეეძლო ერთი შვილი მაინც გადაერჩინა დალუპავს. ნადი მინდორში, — უთხრა შვილს, — აქაურობას გაეცალე, მაგრამ ადამიანებს უფრთხილდი, ხელში თუ ჩაუვარდი, უეჭველად შეგჭამენო.

გოჭი დედას დაემშვიდობა და გაფრინდა, გასცდა სოფელს და ერთ პატარა ნაკადულთან დაეშვა, ერთხანს წყალში იკუნტროშა; შემდეგ ტოროლებთან დაიწყო თამაში. როცა ძალიან დაიღალა და მოშოვიდა, ბოსტანში ჩაფრინდა, იქ მწვანისლ შეექცა და მოულოდნელად თხუნელას წაადგა თავს. თხუნელა ჯერ გაჯავრდა, მაგრამ როცა გოჭმა ბოდიში მოუხადა, მისმა ზრდილობამ გული მოუბრუნა. თხუნელამაც დედასავით დანარჩენი შვილი, ნუ ენდობი ადამიანებს, მათი შიშით ცაში ფრინველს ვერ გაუჭაჭანია და ძირს ჭაინჭველასო.

პატარა გოჭი დაინტერესდა, ერთი ეს ადამიანები ახლოს უნდა ევტიცნო, და ქალაქისაკენ გაფრინდა. ერთ პარკში მალაღ ხეზე ჩამოჯდა და ზემოდან დაუსწო ცქერა ადამიანებს... აქ ბებიებს და ბაბუებს საბავშვო ეტლებით მოჰყავდათ თავიანთი ციცქნა შვილიშვილები... გაზეთებში თავჩარგული მოსწავლეები თვითმფრინავებისა და რაკეტების შესახებ კითხულობდნენ. გოჭიც ყურადღებით უსმენდა — თვითმფრინავები და რაკეტები ძალიან აინტერესებდა, რადგან თვითონაც დაფრინავდა; ზოგჯერ გოჭი ქალაქის ცენტრს შემოუფრენდა და რომელიმე ფანჯრის გარეთა რაფაზე ჯდებოდა. მის თვალწინ სადილობდნენ და ვახშობდნენ, ანგარიშობდნენ ან წინდებს კემსავდნენ ადამიანები; ხშირად გოჭუნა ფანჯრიდან მათთან ერთად ტელეგადამცემებითაც ტკბებოდა.

ერთ დღეს პარკში პატარა გოგონა გამოჩნდა, ხის ქვეშ სკამზე ჩამოჯდა, ჩანთა გახსნა, წიგნები ამოიღო და გაკვეთილების მომზადებას შეუდგა. ჯერ ექვსკუთხედი დახატა, რომელიც საფრანგეთის რუკას ჰგავდა, შემდეგ ჩექმა მოხაზა იტალიელთა ქვეყნის ფორმისა. გოჭს მოეწონა პატარა გოგონა და მასთან თამაში მოუწნა, მაგრამ გაახსენდა დედის დარიგება და გადაიფიქრა.



გადანყვიტა ემოგზაურა. ერთ დღესაც გეზი მთვარისაკენ აიღო, სწრაფად აიჭრა ჰაერში, უკან მოიტოვა პარკი, თვითმფრინავები, ღრუბლები, დედამიწის ირგვლივ მბრუნავი კოსმოსური ხომალდებიც კი და მალე მიაღწია მთვარეს.

თავდაპირველად ძალიან გაერთო, მაგრამ მთვარეზე სულიერის ჭკაჭანება არ იყო და მალე მოსწყინდა. „აუტილობლად დავბრუნდები დედამიწაზე, — თქვა გოჭმა, — დაჯალღე შიშს და დაფუმეგობრდები ადამიანებს“.

თქვა და დაბრუნდა კიდეც. იმ დღეს კარგად დაისვენა, ძალა მოიკრიბა, მერე იმ გოგონას საძებნელად სკოლისაკენ გაეშურა, გააკვეთილების დამთავრებას დაელოდა და შინისკენ მიმავალ პატარა მარიას წინ შეეგება. გოგონას არც კი გაკვირვებია გოჭის დანახვა, მხიარულად შეხვდა მას და მოეფერა კიდეც. გოჭუნა სიხარულით ცას ენია, გულმა ბაგაბუვი დაუნყო. მგონი აუხდა დიდი ხნის ოცნება — ადამიანს მეგობრად ეკიდებოდა.

მარიამ გოჭი შინ მიიყვანა. დედა დათანხმდა, გოჭი სახლში დაეტოვებინათ, ვიდრე მის პატრონს იპოვნინდნენ. მარია გოჭთან თამაშში ისე გაერთო, რომ ყველაფერი დაავიწყდა. ხან დედას ქუდი დაახურა გოჭუნა, ხან თავისი საყვარელი თოჯინის აბათა გაუკეთა, ჰაერში აზურთავებდა, ეფერებოდა.

სალამოს მამაც დაბრუნდა სამუშაოდან. ჯერ ძალიან გაიკვირვა გოჭის დანახვა, მაგრამ რომ გაიგო, უპატრონოად, დაყაბულდა, შინ დაეტოვებინათ.

ძილის წინ მარიამ გოჭი თავისი სანოლის გვერდით სკამზე მოათავსა, პატარა საბანიც კი დაახურა, არ შესცივდესო. თვითონ ხელ-პირი დაიბანა, ტანთ გაიხადა და დასაძინებლად დანვა. გოჭი თვალს არ აშორებდა მძინარე გოგონას, ევაყებოდა, მშენებრად ვდარაჯობ ჩემს პატარა მეგობარს, ასე ძაღლიც კი ჯერ უდარაჯებდაო.

ამ დროს მეზობელ ოთახში მარიას მამა ქაშაყს შეეტყვოდა და ფიქრობდა, გოჭი ქაშაყზე უფრო გემრიელი იქნებაო. „ეეს გოჭი, — უთხრა მერე თავის ცოლს, რომელიც იქვე ხელთათმანებს ქსოვდა, — კარგა ჩასუტბულია, მოდი, დავკლათ, მარიას კი უფროსი, რომ პატრონი მოვლდა და წაიყვანა“. ქალმაც კვერი დაუკრა.

გოჭს გული აუფანცქალდა, მაგრამ მალე დამშვიდდა და გაიფიქრა: ადამიანებთან ცხოვრებისათვის არ ვყოფილვარ გაჩენილი



ამ ქვეყნად, სჯობს ისევე ტყვეს მივაშურო და ჩემს ნებაზე ვიცხოვრო ბუნების წიაღში სხვა ცხოველების გვერდითო.

საბედნიეროდ ფანჯარა იყო ღია და გოჭმაც თავისუფლად შეინავარდა ჰაერში. „ახლა კი ნამდვილად დავრწმუნდნი, რომ ადამიანებთან ყოფნა შეუძლებელია“, — დაასკვნა და ცის კაბადონზე ლღად გაშალა ფრთები...

მაგრამ გოჭს მთლად არ მიუტოვებია ადამიანები. იგი სწორად ხედებოდა პატარა მარიას ქალაქის პარკში და დაბინდებამდე ეთამაშებოდა.

### 306 რა ინებრა

ჩიტმა—ცა,  
 თევზმა—წელი,  
 მგზავრმა—გზა,  
 ცხენმა—ნალი,  
 ვირმა—ბზე, ✓  
 აფრამ—ქარი,  
 ტურამ—ტუბი,  
 მკელმა—ცხვარი.  
 ვამმა—რეცე,  
 ღვინომ—პური,  
 ვახტანგმა—მეცხე,  
 გულმა—გული!



### მურკი

როგორც უხოს გუშავს,  
 მურკის არა უშავს,  
 მელაგუდას თინებს  
 მწვანე-ღრუნით ფუშავს,  
 აცვს დიდს და ჰატარას—  
 თამბორს, თუჯს, თინას...  
 როცა ხაჭაქი არა ბუქს,  
 მურს იფხანს ან სერინავს.

### სიყვარულს სიხარულს

ჩემი ჰატარა კულისოქმა  
 სხვაზე ნაკლები რითია,—  
 სიძვერა სიხარულს  
 სულ კომინსუალით მიოქვია.  
 ვინსულს დიმილით გუფანობ,  
 რაკი სურული დიდა,—  
 მიუფლს ღვდამაქს გაბათობს  
 გულში რამ ცმცხელი მინთია!



### მართლმტყობნობა

უნაბირი—ცხენს,  
 ბირდაბირი—მსურსავებს.  
 ბმკითხები შენ:  
 „ახლავუ თუ უკლავუ?“  
 ცივი ქარი ქრის,  
 განსათობად მზე მინდა,—  
 რა განსწავლეს, თქვი:  
 „წავიდა“ თუ „წავიდა?“


თოვლის ჰაზამ დღეს  
 თოვლი ჩამოაროცა.  
 აბა, როგორ ვწერთ:  
 „ამრიგათ“ თუ „ამრიგად?“  
 ვაწკარუნებთ ზარს,  
 ქუჩას ვუთმობ მანქანებს.  
 ერთად ვამბობთ: „აჰა“,  
 აღარ ვერყვით: „აჰაჰა!“

### კლასობანი

შე მამეს ნარცი, შენ გავს დავა,—  
 ცუდად დანსწორ? წავუძლი სწრაფად.  
 გავთნილა კლასში სტყენა?  
 გადავუძალით დავა-ინა!  
 — არ კითხულობს წიგნებს მგეფლი,  
 მიტომ იღებს ალბათ საძიებს.  
 — ზარმაცია დავის ბედა,—  
 გაკვივითლე იგვიანებს.  
 ცუდად სწავლობს ჩვენი კარა,—  
 თავს თავი ვერ მიუძღა.  
 ცოტა ხნის წინ ერთად ვწარდით,  
 ახლა ვუვლან ერთად ვსტატეთ.



## ბრიგოლ აბაშიძე



70 წელი შეუსრულდა მწე-  
რალს და საქართველოს სასი-  
კეთოდ მოღვაწე ადამიანს  
გრიგოლ აბაშიძეს. თუმცა  
თითქმის ნახევარი საუკუ-  
ნის წინ თვითონ ამბობდა:  
„მე მზის სხივის და თბილი-  
სის ხნის ვარა“.

რისი თქმა სურდა მას ამ  
სიტყვებით? აღბათ იმისა,  
რომ მზის სხივივით ცხლ-  
ვედმყოფელი და უკვდავი სიყ-

ვარულით უყვარს თავისი  
სამშობლო, თავისი თბილი-  
სი. ამაზე წერდა, ამაზე წერს  
და დღემუდამ ფიქრობს მწე-  
რალი.

ვაივლის ასე 10—15 წელი  
და დღევანდელი ბავშვები-  
სათვის ძვირფას საკითხავად  
იქცევა გრიგოლ აბაშიძის  
ღირიკული დექსები, ისტო-  
რიული და დრამატული პოე-  
მები, რომანები...

10—15 წლის წინანდელ პა-  
ტარებს კი ძალიან უყვარ-  
დათ მისი დექსები და პოე-  
მა-ზღაპრები, მაგალითად, ნა-  
ბოლარა წიწილის ზღაპარი—  
იმაზე, რომ შეიძლება ღონე  
არც ჰქონდეს კაცს, მაგრამ  
თუ გული ერჩის, ათას დაბრ-  
კოლებას გადაიღახავს, ათას  
ხიფათს დასძლევს, და ვაიმა-

რჯევებს; უყვარდათ პოემა  
„რუსთავის მერცხლები“, რო-  
მელიზიც გაბატონებულ მოთრე-  
ნილი მერცხლების ნაამბობით  
იტყობდნენ, თუ რა გაქირ-  
ვებასა და სიბეჩავში ცხოვ-  
რობენ შორეულ თბილ ქვეყ-  
ნებში უთუფლებო ზანგები;  
უყვარდათ ზღაპარი „რატომ  
არ აქვს კურღლეს კული?“,  
და კიდევ სხვა პაწია ზღაპ-  
რები და დამაზი საბავშვო  
დექსები...

ჩვენი კურნალის ამ ნომერ-  
ში წაიკითხავთ გრიგოლ  
აბაშიძის ორ საბავშვო  
დექსს, მაგრამ მანამდე მო-  
ვლით, ერთად, პატარა საყვე-  
დური შეგკაროთ ჩვენს იუ-  
ბილარ მწერალს. რატომ აღა-  
რაფერს წერთ ბავშვებისა-  
თვის, ბაბუა გრიგოლი?!

ბრიგოლ აბაშიძე

## ზამთარი

ტუის სიმწვანე ხად წასულა,  
ხიტუნები ხად არიან?  
თოვლი მოდის, ქარი წივის:  
„ზამთარი! ზამთარი!“  
შესე ჰეპლებს, ფრთათუთრ ჰეპლებს  
ბეებს ირგულივ ველებიან,

ეს თოვლია, თოვლი მოდის,  
განს მართლად ჰეპლებია!  
ეს ზამთარი მოპრისნდება  
თუთრწვერა და თმაჭადარა,  
გუნდაპ, ცვიამ, თოვლისკაცმა—  
მეულამ ერთად გამახარა.



პრიგოლ აბაშიძე

### მე და ნიკა

თამაში რომ მოგვწეინდებ, ღროს არ ვაცდენთ მე და ნიკა, გადავწევიტეთ, შვეინწავლათ სათამაშოს მექანიკა.

ან კი როგორ არ გავივით, როგორ ბრუნავს ხელობრბალა, თავს რად გვიკრავს ციცუნია, თვალს რად სუჭავს დედოფალი. აი, ვიწეუბთ ავტოს დაშლას, თათებს ვაძრობთ დათუნას, ცხენი, ძაღლი, დედოფალა, უველა გამოფატრული!

ზოგს სამბარა ამოვკლიჯეთ, ზოგში მხლოდ ნახუნია.

ჩიტე ჩივის: „ის მერჩია, ფრთები სულ არ დამერჩია!“

ცალკე მოთქვამს დედოფალი: „შემომპარცევეს ტანზე კაბა, ნეტავ სულ არ დამენახეთ, თვალი სულ არ გამენახა!“

მეგობრებო, თქვენ განსაჯეთ, კარგს ჩავდივართ მე და ნიკა, როცა ესწავლობთ ამანიბად

სათამაშოს მექანიკას?

გვიანსუხეთ, სწორი თუა ჩვენი მკაცრი განაჩენი, —

მტვრევას ჩვენ ვერ ავუდივართ, ახლის ეიღვას — მამაჩვენი.



# უასოდ ვასე დოფანოდ აოიათასოდ ზრდიცოდ

თამრიკო ოქტომბრელია, მესამეკლასე-  
ლი და, რაღა თქმა უნდა, თავისუფლად კი-  
თხულობს და წერს. მისი უმცროსი ძამიკო —  
ვახო კი ჯერ ხუთი წლისაა, მაგრამ თამრი-  
კოს დახმარებით ანა-ბანას სწავლობს.

ამას წინათ ვახომ ჩვენი ჟურნალის „დი-

ლის“ დამატების „აი იას“ წაკითხვა გადა-  
წყვიტა. ტახტზე მოეწყო, ჟურნალი გადაშა-  
ლა და გულდაგულ დააცქერდა იმ ზღაპარს,  
რომელსაც „ორნი“ ჰქვია, შემდეგ პირველ  
წინადადებას საჩვენებელი თითი დინჯად გა-  
აყოლა და ხმამაღლა მარცვალ-მარცვალ და-  
ინყო კითხვა. თამრიკოც გვერდით ეჯდა და  
თვალყურს ადევნებდა.

ვახოს ასოები ძ და ხ ერთიმეორეში აერია,  
ისინი ხომ ძლიერ ჰგვანან ერთმანეთს, — და  
ზღაპრის კითხვა ასე დაინყო:

— რატომ მეხინა ასე დიდძანს? — გა-  
იკვირვა აძლად გაღვიხებულმა ძავერდის  
ლექვმა.

თამრიკო გაუბრაზდა.

— ტუტუცო! — უთხრა წყრომიოთ, — ეგ-  
რე კი არა, აი, ასე უნდა წაიკითხო:

— რატომ მეძინა ასე დიდძანს? — გაიკ-  
ვირვა ახლადგაღვიძებულმა ხავერდის ლექ-  
ვმა. მიხვდი?!

რა შეცდომა დაუშვა თამრიკომ?

აული ზუზაა

## ჩემი ღამაზი ჩინა

ღედის გულით წმინდა,  
ღედის თვალღვით წმინდა,  
ღედის შუბღღვით წმინდა,  
ჩემი ღამაზი რიწა...

ცისფერი, თვალღღატული  
მზისა და მთვარის ფუნჯით,  
ჩემი ღამაზი რიწა  
არ მავიწყღდება წუთით.





ბესიკ ცხვარიაშვილი. 7 წლის — „თოჯინა“



მარიამ ფოფხაძე. 6 წლის — „ნატყრობი“



ნინო უბერი. 5 წლის — „ნატყრის ხე“

„ქიქის“  
სამაგონო  
ქუჩა

მართული ხალხური თამაშობანი  
ფერეიდანვი

ხუხულოკა

სახლის, ან ეზოს სხვა ნაგებობის აშენება. თამაშში მონაწილეობენ გოგონები და ვაჟები მცირე ასაკიდან. თუ ადგილი და პირობები ხელსაყრელია, მოთამაშეთა რიცხვი განუსაზღვრელია. ისინი ხუხულებს აშენებენ ჯგუფებად ან ცალ-ცალკე.

მოთამაშეებს ნაწიმიარი ტალახით (კიდე უკეთესი — თუ ტალახი მათ მიერვეა მოზულილი) ფრთხილად აშეკვთ „სახლის“ ან სხვა რომელიმე საკარმიდამო შენობის კედლები. შიგადაშიგ ატანენ ფიჩხის ნატეხებს, საჭირო ზომის ქვებს და ა. შ. ეს კედლებს სიმაგრეს აძლევს. ამავე საშუალებით უტოვებენ კედლებში კარ-ფანჯრების „ჩასასმელ“ ადგილებს. შემდეგ შიგნიდან მოაწყობენ და გადახურავენ, აწყობენ შესაფერის ეზოსაც.

ვისი ხუხულაც უკეთ იქნება აშენებული და მოწყობილი, ნაჯობიც ის იქნება და ყოჩაღიც.

როცა მოსწყინდებათ, ძველ ხუხულებს თვითონვე ანგრევენ და ახლებს — „უკეთესებს“ აშენებენ.



ამ თამაშობისას სასურველია სუფთა სათამაშო ადგილის შერჩევა, შეძლებისდაგვარად ბავშვების სათამაშო საშენი იარაღებისა და ხელსაწყობის გამოყენება. ტალახი მაინც ტალახია, ამიტომაც წინასწარ უნდა ვიცოდეთ, რომ მონაწილენი ხელ-ფეხსა თუ ტანსაცმელს დაისვრიან, მაგრამ უამისოდაც არ ივარგებს, ბავშვები ადრევე უნდა შეეჩვიონ ტალახთან დამოკიდებულებასაც და მათთვის ხელმისაწვდომ შრომასაც.

აბანოს აშენება (კითხვა)

მონაწილეობენ მცირე ასაკის გოგონები და ვაჟები იმავე პირობებში, როგორშიც „სახლების“ და შენობათა შენების დროს. შერჩევენ სუფთა ადგილს, სადაც ბევრი ფხვიერი და მშრალი მიწაა. მოთამაშენი ამ მიწას შეაგროვებენ და გარედან ჭუმბათიანი აბანოს შესახედაობას მისცემენ. მისი გაწინი და სიმაღლე რამდენიმე მტკაველიც კი შეიძლება იყოს, თუკი შერჩეული მიწისაგან მოზელოლი ტალახი საერთოდ კარგად იკვრება და მაგრდება.

მისის ამ გუმბათიან „აბანოს“ გარედან ორი-სამი თითის სისქეზე კარგად დაასველებენ და ატალახებენ, შემდეგ კი რამდენადაც შესძლებენ, ლამაზად შელესავენ, რომ აბა-

ნოს შესახებაობა კიდევ უკეთესად გამოიკვე-  
თოს. თუ ზაფხულის მზე აცხუნებს, აბანო  
გარედან მალე შრება და მაგრდება. გამაგრე-  
ბულ აბანოს გარედან კარს გამოუჭრიან, საი-  
დანაც შიგნით დარჩენილ მთელ მშრალ მი-  
წას გამოიყრიან და გამოასუფთავენ. დარჩე-  
ვა გარედან კარგად შელესილი და მაგარი  
აბანო თავისი გუმბათით.

მოზრდილებს, სურვილისდა მიხედვით,  
შიგ ცეცხლის დანთობაც შეუძლიათ, რაც აბა-  
ნოს გამონვავს და კიდევ უფრო გაამაგრებს.  
შეუძლიათ მისი შიგნიდან მოწყობაც.

ვინც უფრო დიდ და ლამაზ აბანოს ააგებს,  
გამარჯვებული და ყოჩაღიც ის იქნება.



## ნისქვილის აუზნება და მოწყობა

მონანილობენ გოგონები და ვაჟები 7-8  
წლის ასაკიდან. ნისქვილსაც აშენებენ ერ-  
თად, ან ჯგუფად. მოთამაშეთა რიცხვი და-  
მოკიდებულია ადგილმდებარეობაზე, რო-  
მელიც რამდენადმე დაქანებული უნდა იყოს,  
რომ ნისქვილის წყალი მიუვდონ. კარგად  
მოზეილი ტალახით ამოჰყავთ ერთ მტკავ-  
ლამდე სიმაღლის სამი კედელი. იატაკს შუა-  
გულზე დაატანებენ დაახლოებით ნუკის სიმა-  
ხო მრგვალ ჩხირს. ამის შემდეგ ნისქვილის  
შენობაში დატანებული ჯოხის გარშემო წი-  
ნა, ღია მხრიდან ამოაშენებენ ხელის სიკა-  
ნისა და ერთი ციდის სიმაღლის მრგვალ  
კოდს.

ნისქვილის ასეთ შენობას გარედან კარგად  
გაალამაზებენ და მკვარდ გაახმოებენ მზეზე,  
რის შემდეგ დატანებულ ჯოხს ამოაცლიან  
და ნაკადულისა თუ ღელის პირზე მარჯვე  
ადგილზე დადგამენ. წყალს ისე და იმდენს  
გამოიყვანენ, რომ კოდში ზემოდან ჩადიო-

დეს, ამასთან ხერელშიც გადიოდეს და კოდ-  
საც ავსებდეს. ნისქვილში დატანებულ  
ხერელში წყლის დენის დაწყებისთანავე ავ-  
სებულ კოდში წყალი ტრიალს დაიწყებს და  
უშალვე ისეთ ჩამდინარე ჰაერის ხერელს  
„დაიკვდებს“, სული რომ ჩაჰპერო — ხერელ-  
ში გაატანს. ამ ტრიალა მორევში წალიკას  
ლამაზ ყვავილს ჩააგდებენ, რომელიც წალო-  
თან ერთად მანამდე იტრიალებს, სანამ კარ-  
გად არ დალობება და ხერელში არ გაძვრება.  
შემდეგ ახალ ყვავილს ჩააგდებენ, ვიდრე არ  
მობეზრდებათ და ვიდრე ტალახის ნისქვილი  
გაუძლებს. წალიკას წყლის ინას, ჟალტამს,  
სალდას, სარდაკს და სხვა სახელებსაც ვეძა-  
ხით.

ხელმარჯვე ფერეიდნელი ბავშვები ამ სა-  
თამაშოებს ადვილად ამზადებენ. ამასში მათ  
ხელს უწყობთ ადგილობრივი თიხა, რომე-  
ლიც კარგად იზილება და ისე შრება და ხმე-  
ბა, რომ ნაკლებად სკდება, და გამძლეც  
არის.

„ხუხულებსა“ და „ნისქვილებს“ საქარ-  
თლოშიც „გვიშენებენ“ ბავშვები.



საქ. სსრ კ. მარკსის  
სახ. სახ. რესპ. პ.  
ზიგლიძის  
სახ. სახ. რესპ. პ.

მხატვარი თალო ლომთაძე





# ზმუილას ბმირობა

— თორღვა პაპა, — შემოეჯარნენ ბავშვები თეთრწვერა მოხუცს, — მოგვიყვიოთ რა ზმუილას ამბავი.

ბერიკაცმა ხელი შემართა, — ნება თქვენიაო, — და მოყოლა დაიწყო:

— კაკო ხომ იცით, ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ომიდან რომ დავბრუნდით, მაშინ ეგრე ათიოდე წლისა იყო, გუთანზე მებრეობას მიწევდა, უღელზე ბოლოქაქარასავით იჯდა და მაგისი წკრიალა ხმით დამღერებული „გადი-გამოდი გუთანო“ ზემო სოფელშიც ისმოდა.

მეწინავე კამეჩი მყავდა ერთი, ზმუილას ვეშახდი. კაკო რა ზმუილა ისე დამეგობრდნენ, მეტიც არ იქნება.

იმ დღეს შრომა-გარჯით დაქანცულებმა დაბინდებისას გუთნეული გამოვუშვით. სი-

ცხისაგან გალექებული კამეჩები არსებით ჩაცვიდნენ. კაკოც თან ჩაჰყვა. ხან კუდზე დაეკიდებოდა ზმუილას, ხან ზურგზე მოექცეოდა, აღმა-დაღმა ნავივით დააცურებდა.

ჭყუმბალაობით გული რომ იჯერა, ნაპირზე ამოვიდა. ცოტა ხნის შემდეგ ბიჭის ყვირილი შემომესმა — ზმუილა ტყვიე გაქცეულიყო.

არხის გაღმა მეთონიანთ ტყე იწყებოდა, ნადირ-მტაცებლთი სავსე. შუადამდე ვეძებთ, მაგრამ იმის ასავალ-დასავალს ვერსად მივაკვლიეთ. ქანცვაღუღუღები მოვბრუნდით და არხის პირას სხვა მხვენელ-მთესველთა კოცონს დაღვრემილები შემოაფუსხედით.

— მაგ უხეიროს რქებსლა თუ იპოვნით, — ხელისჩაქნევით გვითხრა გიორგიმ, ჩვენს შორის ყველაზე ხნიერმა და გამოცდილმა.

მეორე დღესაც ეძება კაკომ ზმუილა, მაგრამ უშედეგოდ.

— რა ჰქენი, ვერ მიაგენი? — ჰკითხა გიორგიმ და დასამშვიდებლად ხელისგული წამოსდო ქეჩოში, და უცებ — ჰაი დე-დასაო — ტყისპირს თვალებდაჭყეტილი მიჩაჩერდა.

ტყიდან ზმუილა გამოვობოდა, ქედზე ხურჯინით რაღაც ჰქონდა გადაკიდებული.

— მგლები, ხალხნო, მგლები! — ვიყვირე და ცუღს წამოვაველე ხელი. ზოგმა კეტი აიტაცა, ზოგმა თოფი და ზოგმა რა...

ზმუილა არხს მოაწყდა და წყალში გადმოეშვა. ჩვენც ამოსასვლელშივე დავხვდით. უზარმაზარი კამეჩი, რომელმაც მძიმე ტვირთი მსუბუქად ამოათრია არხიდან, მეგობრის დანახვაზე შედგა და ბიჭს იმედი შეაჩერდა. ნაჯახი, კეტი და თოფის კონდახი ერთდროულად დატრიალდა და ერთ წუთში თავგაჩეხილი მგლები ბალახზე უსუსლოდ ეყარნენ.


თორღვა პაპამ მოყოლა დაამთავრა და ქისიდან ამოღებულ ჩიბუხს თუთუნით დინჯად დაუნყო დაბუქნა.

— კაკო, ნახირში დავბერდი, ეგეთი შემთხვევა კი არასოდეს მინახავს, — თქვა და ცხვირიდან ორთქლმავალივით გამოუშვა ბოლი.

— კი მაგრამ, რამ დაჰკიდა მგლები ზმუილას, — გაოცებით იკითხა კოტემ, — რატომ არ გაიქცნენ?

— რამა ბაღლო, და კაუჭა კბილებმა, — ლიბლით უპასუხა თორღვა პაპამ, — მგლებმა ბასრი ლოჯებით ტყავი კი ჩაუსერეს ზმუილას, მაგრამ ძარღვს ველარ მისწვდნენ და ვეღარც წააქციეს. ხომ გაგიგონიათ ზოგზე რომ იტყვიან, კამეჩივით სქელკანიანიაო! — თქვა თორღვამ და ბავშვებთან ერთად გულიანად ახარხარდა.





უზანა სახლტხუციფვილი



2. ერისკაცო, თქვენთვის ვინაც  
„დედა ენა“ შეადგინა.

3. ძლიერი ხარ, იგი თუ კი  
გზას გინათებს სიბრძნის შუქით.

4. ორი რგოლით დაწერილ ციფრს  
ჯერ მოაკელ ბგერა ბოლო;  
სიტყვა „მარტოს“ სხვა სახელი  
მიუმატე მერე მხოლოდ.  
წიგნთან ერთად იხმარება,  
ნივთი არის ის სასკოლო.

5. ყველაზე ღონიერი,  
ყოვლის შემძლე, ჰქვიანი,  
ცაშიც, წყალშიც, ხმელეთზეც  
არის .....

6. ციცქნა სახლი, სადაც ერთად  
აგროვებენ მწერნი ნექტარს.

7. თეთრ მინდორს ფეხით თელავს,  
კვალს სტოვებს ფერად-ფერადს.

თუ კროსგორდ-თავსატეხში პა-  
სუხებს სწორად ჩახვამთ, წითელ  
სვეტში წაიკითხავთ ჩვენი დედა-  
ქალაქის სახელს.

საქართველოს აღკვ ცკ-ისა და  
ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერ-  
თა ორგანიზაციის რესპუბლიკურ-  
ი საბჭოს ეურნალი უმცროს.  
კლასიკლათვის.

გამოდის 1927 წლიდან.  
საქ. კვ ცკ-ის გამოცემლობა.

მთავარი რედაქტორი  
ენვერ ნიშარბაძე

სარედაქციო კოლეგია: იმუხარდ ბაგო-  
კაძე, ილია ანთიმუაბა, მირი დანი-  
თაფვილი, სოლომონ დემურსანა-  
ფვილი, ლილა მარაძე, მანანა კობა-  
ხიძე, ვალა ლოსაბერიძე, მავჰალა  
მრავლიფვილი, ჯურახ ნადირაძე,  
პიორაზი რინიფვილი (სამხატვრო  
რედაქტორი), თინათი ჩალაური (პრ.  
მდივანი), პივი მინიშაძე, მანანა ხა-  
ჩიძე.

ტექნიკური რედაქტორი  
ენდი წერეთელი

მიხმართა: რედაქციის, გამოცემლობის,  
სტამბის-თბილისი, ლენინის, 14. ტელ.:  
მთ. რედაქტორის 98-41-80, 98-98-15;  
პ/მ მდივნის 98-10-82, 98-98-18; საპრ.  
რედაქტორის — 98-98-18; განყოფილ-  
ებების: 98-98-19; 98-98-17.

გადაეცა ასაწუხობდ 7. 09. 84 წ., ხელმო-  
წერილია დასაბეგად 1. 11. 84 წ., ქა-  
ლალის ზომა 80x80<sup>1/2</sup> ფი ნახ. ფურც.  
პ.ს. ტირაჟი 188000, შეეკეთა № 2020.

ულაზე ნახატი სოლომ  
ონიწურაფვილიწ

«Дилла» («Утро»), ежемесячный  
журнал ЦК ЛКСМ Грузии и Гру-  
зической Республиканского Совета  
Всесоюзной пионерской организации  
им. В. И. Ленина для младшекласс-  
ников, на грузинском языке.

Отпечатано в типографии издатель-  
ства ЦК КП Грузии.  
Главный редактор Энвер Нижара-  
дзе (тел. 93-41-30).


Адрес редакции и издательства:  
380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Объем 2,5 печатных листа, тираж  
163000. Заказ № 2020.

# ჩხირკედელა

ნელი ოპროპირიძე

ბაჭია, ფისო და ფინია



ერთხელ ჩხირკედელას ხაშხაშის დედოფალი ძალიან მოწყენილი დახვდა. იფიტრა და გადაწყვიტა მისთვის მეგობრები გაეჩინა. არჩევანი ბაჭიაზე, ფინიაზე და ფისოზე შეჩერდა.

ორად მოკეცილი ქაღალდისაგან ჩხირკედელამ ყველასათვის ერთნაირი სხეული გამოჭრა, აი, ასეთი. ორმაგი ქაღალდისაგან გამოჭრა თავები, შემდეგ ყურები, თათები და კუდები; ყველა თავ-თავის ადგილზე მიანება. ყველას თავ-თავისი ცხვირ-პირი დაუხატა, და გააფურადა.

ბავშვებო, აბა ამ ნახატს კარგად დააკვირდით. დარწმუნდებით, რომ ასეთი სათამაშოს გაკეთება არც ისე ძნელი საქმეა.